# საქართველო

**მიიღება განცხადებანი**

1-ლ აპრილიდან:
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 6 მანეთი მე-4-ე გვერდზე—4 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 10 მან.
სამგლოვიარო განცხადება—200 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 250 მან.

1-ლ აპრილიდან გაზეთი ღირს: 6 თვით—900 მან. 3 თვით 450.

კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 5—73.

ყოველდღიური გაზეთი

შაბათი. აპრილის 3 1920 წ. № 72

ფასი 5 მან.



**არტ. სტ. საზ. თეატრი**

დღეს, შაბათს აპრილის 3 ს

ტარტო

მეორე და უკანასკნელი გასტროლი
თეატრის

## ელამი ჯიმმი

(ყოფილ პეტროგრად. „ბი-ბა-ბო“)

„ჯიმმიადა“

მონაწილეობს მთელი დასი, მათ შორის: რუსეთის საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობი **ნ. ნ. ხოდოტოვი, თ. ი. კურიხინი,** გ. ს. ერმოლოვი, ი. ლ. ვოლსკი, ე. პ. ნეკეროვი, ა თ. პერეგონეცი

დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 9—11 საათ. და 6 საათიდან.

კონფერანსიე: თ. ი. კურიხინი.

დირექცია ი. ვ. მაჩაბლისა.

მიხეილის

**ალკრე**

პლეხანოვის ქ. 91

დ ღ ე ს
ჩვენთან ორი პროგრამა ერთად:
ახალი ნომერი
1. „დაცემული ხელი ჰქარ“ დრამა 4 მოქ. მედგბად.
ა. ვერტინსკის
სიმღერების ავტორის მონაწილეობით
2. პარიზიდან ეხლახან მიღებული
„ხელის სიმღერა“
დრამა 4 მოქმედებად.
ულამაზესი ლ. პუანკარეს მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში დიდებულ კომპოზიტორ ბეტჰოვენის კვირაა, იკითხეთ აფიშები.

კვირას 4 აპრილს ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი კრებულით შეასრულებს ნახევარი წლის წირვასა და პანაშვიდს ტრაგიკულად გარდაცვალებულის მამა-შვილის ქუთაისის პირველ გიმნაზიის მასწავლებლის პოეტი ცხებლი

**კარმენ ივანეს ძის თვალჭრელიძის**

და მე 7 კლ. მოწაფის შოთას სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული ქვრივი ლიუბა ალექსის ასული თვალჭრელიძისა შვილებით: თამარ მარო თინა და არჩილ და ძმები ანტონ ივანეს ძე და ვარლამ ივანეს ძე თვალჭრელიძეები წირვა დაიწყება დილის 10 საათზე ხოლო პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. 3052 1—1

ღრმათ მწუხარებაში მყოფნი ილარიონ ივანეს ძე პლატონ და ივანე ილარიონის ძენი რატიანები, ანასტასია ილარიონის ასული და მღ. რაჟდენ სიმონის ძე ჩარკვიშვილები, მარია ილარიონის ასული და აპოლონ კლემენტის ძე გოგორიშვილები და ნინა ამბაკოს ასული ჩუბინიძე, გაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 3 ს აპრილს (ახალი სტილით) (ქ. ხონი) სოფელ კონდიეთში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარ მეუღლისა, მეორენის და მესამენის საყვარელ დედისა და მეოთხესი აღმზრდელ ბებიასი.

**ვარდუკა კაციას ასულის**
## რატიანის

სულის მოსახსენებლათ დასაწყისი წირვის დილის 10 საათზედ. 3039 3—1

კონსტანტინე დავითის ძე ლორთქიფანიძე ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს 3 აპრილს ღ. ჯიხაიში გარდახდილ იქნება საყვარელ მამის

**დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებელი, ორმოციდღის წირვა და პანაშვიდი.

**სახელმწიფო თეატრი**
ევლახიშვილის ხელმძღვანელობით
შაბათს აპრილის 3-ს ოპერა მუშებისათვის

## ფაუსტი, ვალპურგის ღამით

კვირას 4 აპრილს დილით: ევგენი ონეგინი, საღამოს:
**ნ. ნ. ჩერეპნინის** ბენეფისი,
**ნ. სტაროსტინას** მონაწილეობით.

## სნეგუროჩკა

ორშაბათს 5 აპრილს: ნ. პ. კოშიცის უკანასკნელი, გამოსათხოვარი გასტროლი: 1) ევგენი ონეგინი (ერთი სცენა) 2) პიკის ქალი 3) ვერტერი (მე-3-ე მოქმ.) 4) ოტელო (მე-4 ე მოქმ.). სამშაბათს აპრილის 6-ს „სინათლე“

**მეორე ქართული კლუბი**
(პლეხანოვის პროსპექტი, № 129)

შაბათს, 3 აპრილს, კლუბში მამასახლისთა საბჭოს მიერ გაიმართება დამსახურებულ ბელეტრისტის

**ვასილ ბარნოვი**
## საიუბილეო საღამო

მისი 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად. ხამს განყოფილებად.

I

ვ. კოტეტიშვილი. დახასიათება ვ. ბარნოვისა, როგორც მწერლისა

II

შინაარსი და მის ნაწარმოებთა წაკითხვა. უკანასკნელი სიტყვა ვ. ბარნოვისა.

III

**სამუსიკო სალიტერატურო განყოფილება**

მონაწილეობენ მომღერლები: ქ-ნი მალალაშვილისა, ბ-ნნი ივ. სარაჯიშვილი, კოფსშვილი, ჭუმბურიძე და სხვანი.

პოეტები: დუტუ მეგრელი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ლეონიძე, რუხაძე, ფაშალიშვილი. „ობოლი მუშა“ და სხვანი.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

წევრები შედიან კლუბში საზოგადო წესით. 66 1—1

**არტისტიულ საზოგადოების თეატრი.**

კვირას 4 აპრილს.

**ნინო ჩხეიძის მონაწილეობით**

## მ ე დ ე ა

ცნობილი ტრაგედია 5 მოქ.

მონაწილეობს ქართული დრამატიული სტუდია.

რეჟისორი მ. ქორელი. გამგე ვლ. ამაშუკელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**ქართული კლუბი**

შაბათს 3 აპრილს.

## საოჯახო საღამო

კლუბის პამასახლისის დ. ყ. ვაჩნაძის.

მონაწილეობენ: ცნობილი მსახიობი რუსეთის სახელმწიფო თეატრისა ნ. ნ. ხოდოტოვი. ქ-ნი ვერგინა—მსახიობი მოსკოვის საოპერო თეატრისა თამარა ცხაკაია და სხ.

დასაწყისი 9 საათზე.

1 65—1 კლუბში შესვლა საზოგადო წესით.



## ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

**ს ა დ ი ლ ე ბ ი**

დღეს, შაბათს აპრილის 3-ს 1920 წ.

**იუმორისტ ვალერი გელსკის**
## დიდი საღამო

ახალი პროგრამა.

დასაწყისი 11 საათზე.

პირველხარისხოვანი რესტორანი

## „მტკვრის-პირას“

ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.

**ევროპიული და აზიური კერძები**

ადგილობრივი და საზღვარგარეთული ხასმელები საუკეთესო ფირმებისა და ქარხნისა.
შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ ნადიმ-ზეიმისა.
რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო
**საოჯახო დარბაზები**
რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.

3004 10—2 პატივისცემით დირექცია.

## ქალთა სამოსელი

სასწრაფო გამგზავრების გამო დიდი ფას-დაკლებით

## იყიდება მოდელები

სასტუმრო „ინტერნაციონალი“

ერევნის—სოლოლაკის კუთხე 11—3 და საღ. 5—7. 30/0 2—1

## 1-ლი აზერბაიჯანულ-ქართული „ნავთის მრეწველობის ამხანაგობა“

ქ. თბილისში, სასტუმრო „ავრორა“, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
განყოფილებანი ქ. სამტრედიაში, ქ. ხონში. მთავარი კანტორა ქ. ბაქოში, სტაროპოლიცკის ქ. № 114, ტელ. 30—56.

**ნავთით და ნავთის პროდუქტებით დაინტერესებულ პატივცემულ პირთა, ფირმების და დაწესებულებათა საყურადღებოდ:**

მეტად ხელსაყრელ პირობებში და ხელმისაწვდომ ფასებში ვიღებთ საქმეებს სანავთო პროდუქტებისას, ტრანზიტს ყველა მიმართულებებით, ყველა ჭურჭლით, როგორც ბიტონებში, ბოჭკებში, ცისტერნებში, საერთოდ ვაგონებით—სასწრაფოდ და სინდისიერათ. დამზადებული გვაქვს მუდმივი დუბლიკატები კონტორასთან: თვითეულს, პატივცემულ მსურველ მოქალაქეს, აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ჩვენი ფირმისგან სურვილისამებრ, ყოველგვარი სანავთო პროდუქტები, როგორც ნავთი, ნედლი ბენზინი, სამანქანო ცილინდურის ზეთი, ხაპნის სუროგატი და ყოველნაირი პროდუქტები.

ცნობების გაგება შეიძლება წერილობრივ და ტელეგრამით შემდეგ ადრესით: „თბილისი, „ავრორა“, სანავთო ამხანაგობა. კონტორა ღიაა დღის 9—3 და საღ. 6—8 ს. 3034 3—1

## „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მეაქონლეობა, მეფრინველეობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცნობები.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. ცალი ნომერი 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ამ ფასში მხოლოდ თიბათვის პირველამდე.
რედაქტორი **ნიკო კაიშაური** 4—3—17

გაიხსნა კავკასიაში პირველი

## დაწნული ავეჯის ქარხანა

**საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა.**

ვენურ ავეჯეულობის გარდა ქარხანაში მზადდება ავტომობილის რკალები, ფერსოები და სხვა.
მისამართი: ჩერქეზიშვილისა და ანტონოვის ქ. კუთხე № 1. 62 5—1

**7-ი მარტიდან თბილისში გამოდის ყოველკვირეული გაზეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


კინემო მინიონი

!!! სეზონის ნოვათი... პირველად თბილისში!!!

პოლ ბურჟე ცნობილ რომანით

აპრილის 2, 3, 4, 5.

# ანდრე კორნელი

მხატვრული დრამა 5 ნაწილად.

დასასრულ პრენსი ალპებში კომიკური 3054 2—1



პირველი ხარისხის რესტორანი

# ედემი

გვაქვს პატივი ამით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შედგა ამხანაგური არტელი ყოფილი ქ. ნ. ბაქრაძის 1 ხარისხოვანი რესტორანი ვერაზე და წლი-ნახევარის დახურვის და დიდი შეკეთების შემდეგ ამ დღეებში ისევ დაიწყებს წარმოებას. ამხანაგების მონდობილობით ბაქრაძე.

30—3044—1





პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „პრინსტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

შაბათს აპრილის 3-ს 1920 წ.

შესდგება გრანდიოზული სადღესასწაულო წარმოდგენა „ჩვენი შაბათის“ სახელით. მონაწილეობს მთელი ტრუპპა და საატრაქციო ნომრებით: ცნობილი იაპონელი ტრუპპა აკრობატ-ეკვილიბრისტები —ნაიტო.

ცნობილ დანიელ აკრობატები კლაი და კლაი.

განთქმული ჰაერის გიმნასტები „მთის არწივები“. მათი სასიკვდილო ჩამოხტომით ცირკის გუმბათის ქვეშიდან. ძმ. ხანდაროვები.

ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წ. ფალავნის სახელის მოსაპოვებლად, არბიტრი ვალოდია კვიატკოვსკი.

1) შეხვედრა თურქ ფალავნისა და საქართველოს მოჭიდავისა გენჯაალ—ხანდრო კანდელაკი.

2) ჭიდაობა ჩემპიონატის გარეშე, ამერიკელი მოჭიდავე და ბოქსიორი და რუსეთის ფალავანი: ხმიტ ვესტერგარდი და ერმაკოვი.

3) ჭიდაობის ორი ტეხნიკოსის შეხვედრა: კლემენტი ბულის მოწაფე და ჭიდაობის მსოფლიო ტეხნიკოსი: ფილიპენკო და ზაგორუიკო.

ანონსი: ამ დღეებში შესდგება გრანდიოზული ჯერ არ ყოფილი ბენეფისი ? ? ? ? ?

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. პარადი საღამოს 10 ნახ. ს.

გამგე იურიევი.



გიორგი გვაზავა

გამოვიდა იყიდება წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

# ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა

გამოცემა ქალაქთა კავშირისა.


# დღეს:

ბოლშევიკებმა ქ. დარუბანდი აიღეს.

ცენტროვსკთან ცხარე ბრძოლაა.

—

**წ ე რ ი ლ ე ბ ი:**

მეთაური—რუსეთი და საქართველო.

გ. ლეონიძე—ბიბლიოგრაფია.

რ. ნიკოლაძე—პოლიევქტოვის—რუტინის დიქტატურა.

# რუსეთი და საქართველო

უკანასკნელ ხანებში ბევრი იწერება ეგრედ წოდებულ ბოლშევიკურ საფრთხეზე. ჩვენი შეხედულება ამ საფრთხეზე ყველასათვის ნათელია. ბოლშევიკების მოახლოვებაში ჩვენ ვხედავთ არა ინტერნაციონალ ს, არა სოციალიზმის მოახლოვებას არამედ თავაშვებულსა და პირწმინდა რუსულ იმპერიალიზმის მოახლოვებას, რომელიც ერთ მიზანს ისახავს: ჩაჰყლაპოს და გაანადგუროს ეროვნული იდეა, ამართოს დიდმპყრობელური, ხოლო დროული წითლად შეღებული რუსული დროშა და კვლავ ჩაითრიოს საქართველო თვის მპყრობელობაში:

ამ მიზანს ემსახურებოდა რუსის ერი იმ თავითვე, ამ მიზნით ანათებდა იგი თვისი მსვლელობის გზას მუდამ და ამავე მიზნით ხელმძღვანელობს იგი მიმდინარე ისტორიულ ეპოქაში. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საქმე გვაქვს არა ერთ რომელიმე იდეიურ მიმდინარეობასთან, არა ერთ რომელიმე მემარცხენე თუ მემარჯვენე პარტიასთან არამედ საქმე გვაქვს რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეასთან, რომელიც ყველა თანამედროვე იდეიურ თუ ფიზიკურ ბრძოლის-ველზე დამარცხდა და შურის ძიებით ანთებული მოაწვა ჩვენს სახელმწიფოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანტანტის მთავარი შეცდომაც ის იყო, რომ მან პრინციპიალი ხასიათი მისცა ბოლშევიკურ მოძრაობას და მის გაძლიერებას რუსეთში, დასახა იგი ანგარიშ გასაწევ სოციალურ მოვლენად, რითაც უთუოდ მიანიჭა და შთაბერა ბოლშევიზმს სიცოცხლისა და გამძლეობის ნიშან-წყალი, მაგრამ ვერც კი დაინახა მასში უდიდესი გამოსახულება რუსული აგრესივობისა. კითხვის ასეთი დასმის შედეგები დღეს ცხადია: ბოლშევიზმა, ე. ი. რუსეთმა, დამარცხებულმა საერთაშორისო სარბიელზე, ტანჯულისა და დევნილი გვირგვინით, გაცილებით მეტი მიიღო ევროპაშიაც და თვით რუსეთშიც, ვიდრე გაშიშვლებული ხმლით. ეს მომენტი გაუშვა ანტანტმა, მან არა სცნო ბოლშევიკური რუსეთის საბჭოთა მთავრობა და ამით გამარჯვება მიანიჭა მათ. დღეს რუსეთი უკვე რეალურ საფრთხედ მოგვევლინა და უნდა ვიფიქროთ, რომ სულ მოკლე ხანში დადგება გადამწყვეტი მომენტი.

იბადება კითხვა: მორიგებით გათავდება თუ შეხლით დაიწყება ჩვენსა და რუსეთს შორის მიმდინარე მომენტში დამოკიდებულობა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მორიგებაზე ლაპარაკი უთუოდ მისაღებია, მაგრამ ერთ საფუძველზე: რუსეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს საქართველოზე და აზრადაც არ უნდა გაიტაროს საქართველოზე ამა თუ იმ სახით თვისი გავლენის დამყარება. საქართველოს სუვერენობა საფუძვლად უნდა დაედოს ყოველივე ჩვენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან.

შეიძლება ეკონომიური ურთიერთობის დამყარება, პოლიტიკური ძაფის გაბმა რუსეთთან, მაგრამ აბსოლუტურ დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

ჩვენ არ ვიცით, შიიღებენ ამას რუსები თუ არა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი გზა ეს არის, გზა ისტორიული, ერთხელ არჩეული და გადაჭრით აღებული. შესაძლოა ამაზე რუსეთი დასთანხმდეს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ მისგან სათანადო საერთაშორისო გარანტიები, რომ შინაური სიტუაციის ცვალებადობამ გავლენა არ იქონიოს შეკრულ პირობაზე.

მაგრამ უკეთუ მორიგებით კითხვა ვერ გადასწყდა, მაშინ შესაძლოა ერთხელ კიდევ სასტიკად მოგვიხდეს რუსეთთან პირისპირ შეხვედრა. ქართველი ერი ხაკმარისად ჩამოიქნა სახელმწიფოებრივად, რომ შესძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს თუნდაც დიდ რუსეთს და ამ რიგად ამაყად უდარაჯოს თავის სახელმწიფოებრივ საზღვრებს.

ჩვენ გვგონია, რომ უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პირველი, რადგან არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ რუსეთი საქართველოს არსებობას ვერ შეურიგდება. ამ ჟამად ვერც საბჭოთა მთავრობა ჰგმობს საქართველოს, მაგრამ როგორც ვსთქვით საქართველოს კიდლებზე რუსებმა შესაძლოა მიიღონ სწორედ ისეთი მარცხი რომლის შემდეგ კიდევ უფრო დაიქსაქსოს რუსული ძალები.

ამ ბრძოლის მოლოდინში მუდამ მზად უნდა ვიყოთ და უნდა დაუმტკიცოთ ინტუიტიურ გრძნობებს მოკლებულ რუსის ხალხს, რომ გამარჯვება არ მოიპოვების ფიზიკურის ძალით არამედ მას სულით უნდა შთაბეროს ისტორიის და კულტურის გამარჯვებულმა იდეამ; გამარჯვებული დღეს დარჩა ეროვნული იდეა და ქართული ხალხის მტკიცე გარდაწყვეტილება, დაიცვას რადაც უნდა დაჯდეს თვისი სუვერენობა.

# ევროპის გაზეთებიდან

**ბრესტლიტოვსკის გაკვეთილები**

(Temps-იდან)

რუსეთის პრობლემამ ამ ერთი თვის შინ სახე იცვალა: მოკავშირეთა წინაშე ახლა ასეთი საკითხი სდგას: როგორ გავაბათ რუსეთთან ვაჭრობა ისე, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა ოფიციალად არ ვიცნოთ. იმის მაგივრად რომ ასე აჩქარებით მოგვეხსნა ბლოკადა რუსულ კოოპერატივთა სასარგებლოდ რომელთა დამოუკიდებლობა ჯერ დაუმტკიცებელია, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ შეგვექმნა რამდენიმე კონტორა რუსეთთან მოსაზღვრე ქვეყნებში. ეს კონტორები, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იქნებიან გამოიკვლევენ მას, თუ რა სარგებლობის გამოღება შეიძლება საბჭოთა რუსეთიდან რა საქონლის შეტანა და რის გამოტანა შეიძლება.

ასე ფიქრობდენ, სწერს „ტან“-ი, მაგრამ საქმეებმა სულ სხვა ხასიათი მიიღეს.

ერთ უკანასკნელ სხდომაზე, რომელზედაც კლემანსო თავმჯდომარეობდა, უმაღლესმა საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა კარი გაეღოთ რუსულ კოოპერატივებისათვის. ამის შემდეგ შესაძლებელია მოვიგონოთ სხვა საშუალებანი რუსეთთან ურთიერთობისათვის.

ეხლანდელ მოსკოვის მთავრობასთან ასეთი ურთიერთობა მეტად გამოურკვეველი პოლიტიკაა. გერმანიამ ასეთი ოპერაცია ლენინს ბრესტლიტოვსკში გაუკეთა. მაშინდელი ცდის და ეხლანდელ პროექტის შედარებაც შეიძლება. მათშორის ორი მსგავსებაა და ორიც განსხვავება. გერმანეთი მოითხოვდა საბჭოთა რუსეთიდან, რომ მას ეარი განეცხადებინა მეფურ დროის რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიებზე. ეხლანდელი ზავიც დააქუცმაცებს რუსეთს.

გერმანეთს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთში სურსათს და პირველ საჭიროებით საგნებს უხვად ჰპოვებდა. ინგლისი და იტალიას ასეთივე იმედები აქვს. ბერლინის მაშინდელ მთავრობას ეშინოდა ბოლშევიკური პროპაგანდის. მაშინაც კი, როდესაც ბერლინში ბოლშევიკების ელჩი იმყოფებოდა.

ბრიტანეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ბოლშევიზმს დაამარცხებს მით, რომ რუსეთიდან დაგროვილ პურს გამოზიდავს.

ჩვენ გვაგონდება ის გარემოება, რომ რუსეთის დაყოფამ ბოლშევიკებს ძველი ეროვნული ტკივილები აგრძნობინა.

გვაგონდება აგრეთვე რომ საბჭოთა რუსეთმა არაფერი არ მისცა გერმანეთს გარდა იმისა, რომ ბოლშევიკურ პროპაგანდამ ბერლინში რევოლუცია გამოიწვია. მაშ რითი განსხვავდება ეხლანდელი მდგომარეობა ბრესტლიტოვსკიდან.

ბრესტლიტოვსკის მოლაპარაკება არ იყო ფარული. ცენტრალ იმპერიებს თავიანთი დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები ჰყავდათ, მაშინ როდესაც კოპენჰაგენში ინგლისის მუშებს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავდათ და მოლაპარაკება ფარული იყო.

მეორე განსხვავება უფრო სერიოზულია. როდესაც ბრესტლიტოვსკის მოლაპარაკება სწარმოებდა გერმანეთს თვისი ჯარი ჰყავდა ბალტიის პირის ოლქებსა, უკრაინასა და კავკასიაში. მოკავშირეებმა ეს ვერ შესძლეს და არც უნდოდათ.

გერმანეთ ოსმალეთის იქ ყველა სამხედრო ორგანიზაცია მისთვის მუშაობდა.

მოკავშირეები კი სრულებითაც არ არიან ანატოლიის პატრონი და ოსმალეთის სამხედრო ორგანიზაციები სრულებითაც არ არიან დაზღვეულნი ბოლშევიკურ გავლენისაგან.

გერმანეთმა გაამარტოვა რუსეთი დასავლეთ ევროპისაგან, მაშინ როდესაც მოკავშირენი იძულებულნი არიან იმედები დაამყარონ პოლონეთის და ბალტიის პირის სახელმწიფოებთა რუსეთისადმი წინააღმდეგობაზე, რომ რუსეთი და გერმანეთი გაამარტოვონ..

განა ეს გაკვეთილები საკმაონი არ არიან იმისათვის, რომ მოკავშირენი დასთანხმდნენ საბჭოთა მთავრობის პრესტიჟის ამაღლებაზე, მის შემოსავლის გადიდებასა და რკინის გზების გაფართოვებაზე? აი გამოცდილების გაკვეთილები.

ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება საყვარელია თუ არა რუსეთი, უნიტარული სახელმწიფო იქნება იგი თუ ფედერატიული, უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას თუ ლენინის ტრფიალებას განაგრძობენ.

ჩვენ რას ვისურვებთ?

ჩვენი სურვილია რომ საფრანგეთი არც ოფიციალ და არც არა ოფიციალ ურთიერთობაში ეხლანდელ მოსკოვის მთავრობასთან. ჩვენს მთავრობას არავითარი მიზეზები არ აქვს ისეთი, რაიც მას საბჭოებთან კავშირის დაჭერის ნებას რთავდეს.

ჩვენ რუსეთთან თავისუფალი პოლიტიკა ვაწარმოვოთ და ვნახოთ რა მდენად შეგვაძლებინებს იგი ჩვენ აღმოსავლეთთან კავშირის დაჭერას.

**ოსმალური მისია ბერლინში.**

მცირე აზიის აჯანყებულ ოლქიდან ბერლინს ჩავიდა ოსმალ ოფიცერთა დეპუტაცია.

მას ჰსურს მთავარ ბანაკთან კავშირი დაიჭიროს და მცირე აზიის მდგომარეობის შესახებ ცნობები მიაწოდოს. დეპუტაცია მიიღეს.

მათ განაცხადეს, რომ აჯანყება მომაგრდა და ყოველივე საშუალებაა ნახმარი, რომ კონსტანტინეპოლის მთავრობაზე გავლენა მოახდინონ, რათა მთავარმა ბანაკმა არ იფიქროს საზავო ხელშეკრულების პირობებზე ხელის მოწერა. გერმანეთის მთავრობა თითქმის თანახმაა რომ მცირე აზიასთან ურთიერთობა აღადგინოს. პრესას ნაბრძანები აქვს ამ საგანზე დადუმდეს.

**ხიძვირე ინგლისში**

ცხოვრების გაძვირებამ მღელვარება გამოიწვია. ამიტომ მთავრობა ჩაერია სურსათის ფასების განსაზღვრაში. ამ თვეში სიძვირემ ომის ფასებთან შედარებით 130 და 135 პროც. იმატა.

ლლოიდ ჯორჯის აზრით ცხოვრების გაძვირების მთავარი მიზეზი უცხოელები არიან: ჰოლანდიელები, ამერიკელები და სომხები.

მთავრობას ენიჭება საჭირო სურსათის რეკვიზიციის სრული უფლება. მას განზრახული აქვს აგრეთვე შემოიღოს ისეთი სისტემა, რომელიც მას სურსათისა და სამოსის ფასებზე კონტროლს შეაძლებინებს.

**ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება**

„მორნინგ პოსტ“-ი იუწყება, რომ გრედი საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს კოპენჰაგენში ბოლშევიკებთან. მრავალ პუნქტებში უკვე მოხდა შეთანხმება. შინაგან და საგარეო წესიერების დასაცავად ინგლისი ითხოვს წითელ ლაშქრის დემობილიზაციას. ლენინი ამას არ სთანხმდება.

**უკრაინის ახალი რესპუბლიკა**

ჰელსინგფორსიდან მიღებულ ცნობებით, უკრაინის ოლქებმა შეადგინეს უკრაინის ახალი რესპუბლიკა. რესპუბლიკის მთავრობას ბოლშევიკი პეტროვსკი, რომელმაც უკვე კავშირი შეჰკრა საბჭოთა რუსეთთან.

**რუმინეთისთვის ამერიკელების ხესხი**

ჟენევიდან იუწყებიან, რომ შეერთებულმა შტატებმა რუმინეთს 800 ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს სესხად. ამისათვის ამერიკელები ითხოვენ 60 წლის განმავლობაში რუმინეთის ნავთის ექსპლოატაციას.

**ბოლშევიკები და შვედეთის მუშები**

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკების აგენტები შვედეთის მუშა მეტალურგისტებს ურიგდებიან რუსეთში სამუშაოდ.

მუშებს დღიურად 4 ათას კრონს ჰპირდებიან. ამის გარდა საბჭოთა მთავრობა ჰპირდება სურსათს, ბინას და დანიშნულ ადგილამდის უფასო ბილეთს.

**ვილსონი არ სცნობს ლენინს.**

ვილსონი არ სცნობს ლენინს რუსეთის სახელმწიფოს მეთაურად ასევე მასთან დიპლომატიური დამოკიდებულების დაჭერას. („ჟურ. დ'ორიან“)

**ენვერი ბერლინში.**

გაზ. „ტანის“ კორესპონდენტი გერმანიაში იუწყება, რომ ენვერი ამჟამად ბერლინში ცხოვრობს სხვისი სახელით. („ტან“)

**ინგლის-რუსეთის ურთიერთობა.**

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ პეტროგრადის „წითელი გაზეთის“ ცნობით სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან ისევ განახლდა. („ტან“)

**ჰინდენბურგი და კაიზერი.**

„ცაიტუნგი“ იუწყება, რომ გერმანელ ნაციონალისტებმა სთხოვეს ჰინდენბურგს თავის კანდიდატურა წამოეყენებინა საპრეზიდენტო არჩევნებში ფელდმარშალმა რჩევა სთხოვა კაიზერს, რომელსაც მან ერთგულობაში შეფიცა.

# რუსები ბათომში

ბათომის გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ეხება რუსების მოქმედებას ბათომში და შემდეგს სწერს:

„გარდა იმ დიდ „სიკეთისა“, რომ ჩვენი დიდა-ქალაქი ბათომი უხვად არის დაჯილდოებული აურაცხელი დენიკინელებით, ჩვენ „ბედნიერი“ ვართ კიდევ მით, რომ ბოლშევიკებიც ბლომათ ბუდობენ აქ. ერთნიც და მეორეც დენიკინელებიც და ბოლშევიკებიც ლამობენ ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდებას. გადამთიელი რუსები, რომლებიც ჩვენ ქალაქს შეეხიზნნენ, ზოგი წითელ კომუნისტურ მანტიაში გამოხვეული და ზოგიც შავ ქურქში ჩამჯდარი, იმდენათ გათამამდენ, რომ აშკარათ, კრებებზე მოითხოვენ აქ რუსთა გაბატონებას. დენიკინელები აზერბაიჯანის აგენტებთან ერთად ცდილობენ ცხოვრებაში განახორციელონ დენიკინელ გენერალ ტერმენის პროექტი. ბოლშევიკები კი ამაყათ გაიძახიან, რომ აქ ლენინის მთავრობა უნდა გავრცელდეს, ბათომი ლენინის რუსეთს უნდა შეუერთდესო. როგორც დენიკინელების, ისე ბოლშევიკების საბოლოო მიზანი ერთია: ჩვენი ქვეყნის რუსეთზე მიწებება!

ეს ვაჟბატონები ისე გრძნობენ აქ თავს, თითქო ქალაქი ბათომი და მისი ოლქი მათი სათარეშო მოედანი იყოს; თითქო აქ სტუმრები ჩვენ ვიყოთ და ისინი კი მასპინძლები ბრძანდებოდენ. ჩვენ არც კი გვეკითხებიან—გვსურს ჩვენ თუ არა მათი ჩვენზე ბატონობა, გვსურს თუ არა მათი დენიკინი და ლენინი; გვსურს თუ არა, რომ ჩვენი ქვეყანა ისე აახრონ რუსეთის ამ გმირებმა“, როგორც მათ ააოხრეს და გაანადგურეს რუსეთი.

გამობრძანებულან კრებებზე, თხზავენ რეზოლიუციებს და ტაშის გრიალით ღებულობენ უჩვენოთ, ჩვენ დაუკითხავათ შედგენილ დადგენილებებს: „ბათუმი და ბათუმის ოლქი ლენინის საბჭოებს უნდა გადაეცეს, აქ რუსული ბოლშევიზმი უნდა გაბატონდესო“ შემდეგ გაზეთი სრულიად სამართლიანად დაასკვნის“

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენ ქვეყანაში უცხოელები, გადამთიელი რუსები, ნუ გვიბატონდებიან. ჩვენ არც მათი ლენინი გვსურს და არც დენიკინი. შეიგნონ ეს ჩვენში სტუმართ მოსულმა რუსებმა და ჩვენს ქვეყანაში ჩვენზე გაბატონებას ნუ ლამობენ. ჩვენ სტუმართ-მოყვარე ხალხი ვართ, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტუმრები თავზე დავიჯინოთ. იცოდენ, რომ ჩვენ მოთმინებას საზღვარი აქვს.

გადამთიელ რუსებს წესიერებისაკენ მოუწოდებთ“

# უცხოეთი

## სომხეთი

**კალიკიის კათოლიკოსის გამგზავრება ევროპაში.**

სტამბოლის გაზეთების სიტყვით, კილიკიის კათალიკოსი საჰაკი მიემგზავრება ევროპაში, ადგილობრივ სომეხთა ბედ-იღბლის გამოსარკვევად და დიდი სახელმწიფოებისაგან გადაწყვეტილ განკარგულებათა მოსათხოვნად. („ნორ-აშხ.“)

**ერთდროული დახმარება სახელმწიფო მოსამსახურეებს.**

სომხეთის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში 45 მილიონი მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ, აღდგომის დღესასწაულების გამო სახელმწიფო მოსამსახურეთადმი ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობის ერთდროული დახმარების მისაცემად. დახმარება მიეცემა მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც შევიდნენ სამსახურში თებერვლის 1-ლამდე და დღესაც იმყოფებიან. („ნორ აშხატ“.)

## ჩრდილო-კავკასია

**პეტროვსკში.**

დეპეშათა სააგენტო „აზერტაჯი„ 30 მარტის თარიღით იუწყება: გუშინ, მარტის 29-ს დილის 10—12 ს. ბაქოს რადიოსადგურმა დაიჭირა რადიო—მოლაპარაკებანი კასპიის ფლოტილიის ხომალდების შორის, რაც ადასტურებს, რომ პეტროვსკში მაშინ ცხარე ომი იყო.

ქვემოდ მოყვანილი რადიო არ არის ინტერესს მოკლებული.

პირველი. „ცეცხლი. (დამახინჯებულია). დაეშინოს ქალაქის ნაწილს, რათა შეძლება მოგვეცეს გემები ნავთსადგურიდან გამოვიყვანოთ.

მეორე: „დროებით იქმნეს შეწყვეტილი სროლა და მომზადება იყოს ძლიერი ცეცხლისათვის“.

დაჭერილი რადიო—ცნობები ჯერ იძლევიან გარდამწყვეტ შთაბეჭდილებას. ბაქოს რადიო-სადგურის ტეხნიკურ ცნობათა მიხედვით, ფლოტილიის ნაწილი მარტის 30-ს იმყოფებოდა არა პეტროვსკში, არამედ ბაქოსთან შორი ახლოს.

## კავკასი

ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭოს დიპლომატიურ წარმომადგენლის არა ოფიციალურ ცნობით, მთიელთა მთავრობა არსებობას განაგრძობს.

— ს. მოლოვანსკისა და კურკის შუა მოხდა შეტაკება საინტენდანტო საწყობის გაძარცვისა და გაყოფის ნიადაგზე.

— კავკავში ამ ჟამად შედარებით სიწყნარეა. თავდაცვა მოწყობილია და მძარცველ-ყაჩაღებს კარგათ ექვის.

— თბილისში ჩამოვიდა მთის წარმომადგენლობით თერგის მთობა, თავმჯდომარე აბრამოვის მეთაურობით და ატამან გენ. ვდოვენკო.

— ჩამოვიდნენ აგრეთვე ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე თერგის ოლქისა; სხვათა შორის გიორგი ბიჩერახოვი, ყოფილი ქალაქის თავი ცირულნიკოვი და სხ.

— ყაზახთა პოლიტიკურ მოღვაწეები მოლაპარაკებას აწარმოებენ საქართველოს მთავრობასთან, რომ განწყობილება მოხალისეთა ჯარისა, და მათი მთავრობისადმი გაიგონ ყაზახთა, მათ პოლიტიკურ მოღვაწეებისა და ოფიციალურ პირთა მოპყ-

რობისაგან. ამ შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ ყაზახობა არცარო-დის არ ეთანხმებოდა მოხალისეთა პოლიტიკას და ფორმალურად გასწყვიდა ყოველგვარი კავშირი გენ. დენიკინთან.

(„სლ.“)

# რუსეთი

**რუსეთი და მოკავშირენი.**

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთის სავაჭრო მისია ნოვაკოვსკის მეთაურობით ჩავიდა რეველში და სავაჭრო ურთიერთობა დაიჭირა ინგლისელ და ამერიკელი კომერსანტებთან. „ნიუ-იორკ ჰეროლდ“-ის ცნობით თითქოს ინგლისმა, იტალიამ და იაპონიამ აღიარეს საბჭოთა მთავრობა, სიმართლეს მოკლებულია! იაპონიამ, წინააღმდეგ ამისა გამოსთქვა რამდენიმე მოსაზრება საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო კავშირის დაჭერის წინააღმდეგ.

გაზ. „ტანი“ მოითხოვს, რათა საფრანგეთი არ შეუერთდეს არავითარ მოლაპარაკებათ, რომელნიც კი მიიყვანენ, საბჭოთა მთავრობასთან ზავის შეკვრამდე. გაზეთების სიტყვით კომპეტენტური წრეები ამჟამად შეუძლებლად სთვლიან რუსეთთან. რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას ჩრდილო რუსეთში სატრანზიტო გზების დაზიანების გამო.

ესტონიის დელეგაციამ პარიზში ფარჰყო გაზეთებში მოთავსებული ცნობა ესტონიის და საბჭოთა შორის საიდუმლო პუნქტების დადების შესახებ.

(საქართ. დეპ. სააგ.)

**მოსკოვი.** აპრილის 1. ც. ა. კ. მ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი.**

ბობრუისკის რაიონში მტრის შემოტევა კონტრ-იერიშებით მოვიგერიეთ. ოვრუჩ-კოროსტენ--სარნენის რკინის გზის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბრძოლაა. სივაშის რაიონში ჩვენ გამოქცეულები მივიღეთ.

**კავკასიის ფრონტი.**

ჩვენი ჯარი ტუაპსეზე შეტევას განაგრძობს. ტუაპსეს ჩრდილო-დასავლეთით 40 ვერსზე ჯუბსკაიასთან ჩვენმა ჯარმა ცეცხლით შეაჩერა მტრის გემების ნავთსადგურიდან გაზიდვა. მაიკოპის სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მტერი უკუ აგდო და განაგრძობს მის სდევნას. კასპიის ზღვის ნაპირებზე აჯანყებულებმა ქ. დერბენტი აიღეს.

# ინგლისი

**ინგლისელების პროტესტი.**

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ჰაიდ პარკში მომხდარ დიდ მიტინგზე ორატორებმა განაცხადეს პროტესტი სტამბოლის ოსმალეთისათვის დატოვების დადგენილების წინააღმდეგ და ბრბომაც, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ათასი კაცისაგან, დაადასტურა ეს პროტესტი. იმავე დადგენილების წინააღმდეგ „ტაიმს“-ი ეწევა სასტიკ ბრძოლას.

**ლორდ გრეი და სტამბოლის საკითხი.**

ლონდონის საკვირაო გაზეთ „ობსერვერ“-ში დაბეჭდილია ლორდ გრეის წერილი, რომელშიც ყოფილი ვაშინგტონის ელჩი აცხადებს, რომ სტამბოლის ოსმალების ხელში დატოვება, მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტებისა და აღთქმული რეფორმების შეუსრულებლობის შემდეგ, იქნება ისეთი საქმე, რომელიც შეურაცხჰყოფს გამარჯვებულ მოკავშირეებს. მას იმედი აქვს, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან, რომ მოკავშირეებმა ხელმეორედ განიხილონ მათ მიერ გამოტანილი დადგენილება.

# გერმანია

**რურის ხეობაში**

(საქ. დეპ. სააგ.)

გერმანიის მთავრობამ რურის ხეობაში მყოფ წითელთა ულტიმატუმის ვადა კიდევ 48 საათით გააგრძელა, რათა წითლებს შეძლება მისცეს თვითონ აღადგინონ წესრიგი. ამ ვადის გათავებამდის ჯარები შეტევაზე არ გადავლენ.

# საფრანგეთი

**საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ**

(საქ. დეპ. სააგ.)

გუშინ პალატაში ფინანსთა მინისტრმა მოხსენება წაიკითხა საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. 1914 წლიდან 1918 წლამდე ყველა სამხედრო კრედიტის რაოდენობა 217 მილიონ 400 ათას ფრანკს უდრის

# ფინეთი

**ბოლშევიკები ფინეთში**

(საქ. დეპ. სააგ.)

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: 700 ინგლისელი, ფრანგი და დანიელი, რომელნიც ბოლშევიკებმა გამოუშვეს, ფინეთში მოვიდნენ.

# უკრაინა

**საბჭოთა უკრაინა და პოლონეთი.**

გაზ. „სტამბოლის“ ცნობებით უკრაინის საბჭოთა მთავრობა პოლონეთთან მოლაპარაკების დროს მოითხოვს აღმოსავლეთ გალიციის უკრაინასთან შემოერთებას.

# მიხაკო წერეთლის ჩამოსვლა

ამ დღეებში საზღვარგარეთიდან თბილისში ჩამოვიდა. ცნობილი პუბლიცისტი და საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თვალსაჩინო მოღვაწე მიხაკო წერეთელი.

საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მიხაკო წერეთელი პირველად ჩამოვიდა თავის სამშობლოში.

# ახალი ამბები

**მისიებში.**

**პოლონეთის საგანგებო მისიის შემადგენლობა.**

საქართველოში ჩამოსულ პოლონურ საგანგებო მისიის შემადგენლობაში შედიან: 1) ფილიპოვიჩი—მისიის უფროსი, რწმუნებული მინისტრი, 2) სმოგორჟევსკი სიგიზმუნდ—მისიის მრჩეველი, 3) ბონდი ლადისლავ—მისიის მდივანი, 5) ბიალბრჟევსკი ვიქტორ—კონსულის ამხანაგი, 5) ექიმი რაპპორტი—ლტოლვილების სამშობლოში დასაბრუნებლად დანიშნული და 6) რავიჩ-კოლაზინსკი კაზიმირი, ლეიტენანტი.

**ესპანიის პრემიერ მინისტრის დეპეშა**

ესპანიის ვიცე საკონსულოსგან თბილისში საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო.

„თქვენო აღმატებულებავ! მაქვს გაუწყოთ, რომ მისმა აღმატებულებამ ბ-ნმა პრემიერ-მინისტრმა მადრიდში მიიღო დეპეშა გორში მომხდარ მიწის ძვრით მომდარ უბედურების შესახებ დამავალა საქართველოს მთავრობის მიმართ გამოსთქვა მწუხარება და ქართველ ხალხს—თანაგრძნობა“.

**პოლონეთის მისიის ბარათი**

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი ბარათი მიიღო პოლონეთის საგანგებო მისიისაგან კავკასიაში.

„მაქვს პატივი ვაუწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებას, გაზ. „ბორბა“-ს მარტის №31-ში მოთავსებულ ცნობის გამო, რომ საქართველოს მთავრობასთან გამოგზავნილ პოლონეთის მისიას არავითარი საქონლის ნიმუში არ ჩამოუტანია და ჩამოიტანა მხოლოდ იმდენი ბარგი, რამდენიც საჭიროა საკონსულოს სამსახურისა და ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებისთვის.

პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო მისიის მდივანი დე-ბონდი.

**სხვა და სხვა ამბები**

**ტუსაღის მოკვლა**

როგორც დუშეთიდან ატყობინებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იქ დაჭერილი ლექსო მაჭარაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა პროვოკატორობა და ერობის ხმოსანზე თავდასხმა მოკვლის სურვილით. როდესაც ტუსაღი დუშეთის ციხეში მიჰყავდათ, მან გაქცევა დააპირა, რის შემდეგაც იგი მოკლულ იქმნა მილიციის მიერ.

**თავდასხმა.**

ეკატერინოვკიდან ადმინისტრაციის ინსტრუქტორის ატყობინებენ, რომ ნეიტრალურ ზონაში მოთარეშე ყაჩაღები ვასო მარქარიანცის მეთაურობით 26 მარტს თავს დაესხნენ სოფ. პატარა დუზს და გაიტაცეს საქონელი. მათ დაედევნა მილიცია და სახალხო გვარდიელები.

**ყაჩაღების შეპყრობა.**

ზუგდიდიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ ამას წინად გაქცეულ ტუსაღთაგანი შეიპყრათ ორი—ბეჟვაია და რეკვაია.

**საყმაწვილო წიგნი**

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ახალი საყმაწვილო წიგნაკი: „სურათები თხზულებისათვის. სახელმძღვანელო თხზვასა და საუბარში, ყმათა საწვრთნელად სკოლასა და ოჯახში“. ფასი 5 მან., გამოცემა ქართული საყმაწვილო გამომცემლობის „სურათები—ზღაპრები“-ს.

**კავკასიის ლტოლვილნი**

31 მარტს სად. მცხეთიდან ჩრდილო-კავკასიიდან მოსული ლტოლვილნი გაიგზავნენ ფოთს 94 ვაგონით. 1 აპრილს გამგზავრებულია 45 ვაგონი. ამ რიცხვიდან უკვე გაიგზავნა სომხეთში 15 ვაგონი. ბორჯომიდან და სანდარიდან აზერბაიჯანში გაიგზავნა 5 ვაგონი. თითოეულ პუნქტიდან მაშმდიან ლტოლვილებისა.

**საჯარო ვაჭრობა**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების განკარგულებისამებრ მიმდინარე წლის 15 აპრილს, დილის 12 საათზე, ქუთაისის სამაზრო კომისარიატის ბინაზე შესდგება საჯარო ვაჭრობა ზეკარის, ქუთაისის მაზრაში, მინერალური წყლების, 1921 წლის 1 იანვრამდე საიჯაროთ გასაცემათ; ვაჭრობა დაიწყება 50,000 მანეთიდან. დაწვრილებითი ცნობების და ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ქუთაისის სამაზრო ერობაში, სამაზრო კომისარიატში, სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის გამგის მარუაშვილის კანცელარიაში ქუთაისში და მიწათ მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში ქ. თბილისში.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სანიტარო განყოფილება.**

ამით აცხადებს, რომ თანახმად საექიმო კანონმდებლობის მე-222 მუხლისა უნდა შემუშავდეს და გამოიცეს სია საქართველოს ტერიტორიაზედ მცხოვრებ ყველა უწყებების ექიმების, კბილის ექიმების, ფარმაცევტების, ექიმის თანაშემწეების და ბებია ქალების. სია იქნება ცალკე წიგნად გამოცემული და დაურიგდება ადმინისტრაციას, ქებს სახელმძღვანელოდ. რადგანაც საჭიროა, რომ სია ვრცელი და უნაკლო იქნეს საექიმო-სასანიტარო განყოფილება თხოვს ყველა ზემოდ ჩამოთვლილ პროფესიის პირთ გამოცხადდენ მოწმობებით და დიპლომებით: ა) თბილისში მცხოვრებნი—შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში—ქინის ქუჩა ს. № 10. ყოველ დღე (გარდა უქმეებისა) დღის-12-3 საათამდე ექ. მ. არჯევანიძესთან. სხვა ქალაქებში სამოქალაქო-სასამართლო ექიმებთან. მაზრებში-მაზრის ექიმებთან. რეგისტრაციის მოხდენა გაგრძელდება ამა წლის 10 მაისამდე. (ერთი თვის განმავლობაში).

**კოოპერ. ცხოვრება.**

**მანუფაქტურა.**

ამ ჟამად საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირის მიერ მოწყობილ საწყობებიდან ნაწილდება მომარაგების სამინისტროს საქონელი, უმთავრესად მანუფაქტურა. ზოგიერთმა სარაიონო კავშირებმა უკვე მიიღეს ასეთი საქ. ცენტ. კოოპერატ. კავშირის საშუალებით.

**ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება.**

ბათომის მომხმარებელთა საზოგადოებამ საქ. ცენტ. კოოპ. კავშირის ანგარიშზე შეიტანა 50000 მან. მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**გაგრის მომხ. საზოგადოებისთვის.**

9 მარტის სხდომაზე საქ ცენ. კოოპ. კავშირის გამგეობამ გაუხსნა გაგრის მომხმარებელთა საზოგადოებას 200 ათასი მანეთის კრედიტი.

**საქონლის გაზიდვა სომხეთში.**

საქართველოს ცენტრ. კოოპ. კავშირმა მარილზე გადასაცვლელად გაზიდა სომხეთში ორი ვაგონი სხვა და სხვა თევზეულობა.

**მუნ ციპალური ცხოვრება**

**საექიმო სასანიტარო საბჭო.**

თბილისის ქალაქის თვითმართველობასთან შესდგა საექიმო სასანიტარო საბჭო, რომელმაც მოქმედება უკვე დაიწყო. ხსენებული საბჭო სათათბირო ორგანოა, მოწოდებული სხვა და სხვა საექიმო და სასანიტარო საკითხების სამეცნიერო და პრაქტიკულ მხრით გადასაწყვეტად. ასეთ ორგანოს შექმნამდე ხსენებულ საკითხების გამოსარკვევად იწვევდნენ ხოლმე ამა თუ იმ პირებს, რასაც თავისი ნაკლი ჰქონდა. მუდმივ საექიმო სასანიტარო საბჭოს დაარსებით შეიქმნა მუდმივი ერთგვარი პასუხისმგებლობის მქონე ორგანო, რომელიც მუდმივად იმუშავებს ქალაქის საექიმო სანიტარიის საკითხების წინასწარ გარკვევა შემუშავებაზე. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გამგეობის წევრი ა. პაპავა, საექიმო სასანიტარო ინსპექტორი მეუნარგია, ქალაქის საავადმყოფოების უფროსი ექიმები, სასკოლო, საუბნო, სასანიტარო ექიმების ორ-ორი წარმომადგენელი, ქალაქის ექიმთა თანაშემწეების და ფარმაცევტთა კავშირების წარმომადგენელნი და სხვანი: სულ 23 კაცი.

**ქალაქის პურის საცხობებში.**

ქალაქის პურის საცხობებმა შესწყვიტეს გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის პურის მიწოდება, რის გამოც დაითხოვეს ამ მიზნით მოწვეული პურის მცხობლები. ხოლო პურის რაციონის სულზე 1 გირვანქამდე გადიდების გამო ისევ მოიწვიეს 12 მცხობელი.

**ჯამაგირები ქალაქის მოსამსახურეთათვის.**

მომავალ კვირაში, ქალაქის თვითმართველობა მოელის მთავრობისაგან 30 მილიონ მანეთის ნათხოვნ სესხის პირველი ნაწილის მიღებას, რის შემდეგაც ქალაქის მოსამსახურეებს მიეცემათ ჯერ თებერვლის ჯამაგირი, იანვრის მომატება და შემდეგ მარტის ჯამაგირი.

**ქალაქის ებრაელ მოსამსახურეთა განთავისუფლება პასექის დღეებში.**

საქართველოს ებრაელთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობით ქალაქის გამგეობამ გაანთავისუფლა ქალაქის სამსახურში მყოფი ებრაელნი ებრაელთა დღესასწაულის პასექის დღეებში აპრილის 3, 4, 9 და 10.

**ხორცი ებრაელთათვის.**

ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა თბილისის ებრაელთა საზოგადოების შუამდგომლობა, რომ პასექის დღესასწაულის დღეებში, როდესაც მათ სარწმუნოების ძალით მხოლოდ ხორცი და თევზეული უნდა სჭამონ, ნება მიეცეთ ქალაქის სასაკლაოზე შეიძინონ საქონელი, იქვე დაკლან და გაანაწილონ მხოლოდ ებრაელთა შორის. ეს შუამდგომლობა გამოწვეულა იმით, რომ უკანასკნელ დღეებში ბაზარზე სრულიად აღარ მოიპოვება ხორცი.

**მეეტლეთა შუამდგომლობა.**

ქალაქის თვითმართველობამ უარი უთხრა თბილისის მეეტლეებს მათ შუამდგომლობაზე, რომ შემცირებინათ ცხენებზე შემოღებული საქალაქო გადასახადი.

**ახალი ნიხრი.**

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი ნიხრი ზოგიერთ სანოვაგეზე. კარტოფილი ახალი ნიხრით გირვანქა ღირება —10 მან. ხახვი—8 მან. კვერცხი—4 მან. თითო, დაფქვილი მარილი გირვანქა 3 მან. ხის ნახშირი ფუთი ნარდით 55 მან. ხოლო წვრილმანად 60 მან.

**კრებები**

**საქართველოს იურიდიულ საზოგადოების კრება** კვირას 4 აპრილს დილის 11 საათზე სასამართლო პალატის შენობაში დანიშნულია იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება გარჩეულ იქნება შემდეგი საკითხები: პასუხის გებაში მიმცემ კამერის და არსების შესახებ სენატორ დემიდოვის მიერ წაკითხულ რეფერატის გამო კამათი. კავკასიურ იურიდიულ საზოგადოების ბიბლიოთეკის გადმოცემა. ჟურნალის გამოცემა. სამხედრო ოლქის სასამართლოს გაუქმების შესახებ. სასამართლო პალატასთან სასამართლოს სამეცნიერო ექსპერტიზისათვის კაბინეტის დაარსება.

**სამხატვრო ქრონიკა**

**პოეზიის საღამო.**

პარასკევს 9 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამო; მოხსენებებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პავლე ინგოროყვა.

**მწერლების კონფერენცია.**

კვირას 4 აპრილს თბილისში შესდგება ქართველ მწერალთა კონფერენცია პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებისთვის დამზადებულია ბინები ზუბალაშვილის სახლში (სასამართ. ქუჩაზე).

**ვასილ ბარნოვის საიუბილეო საღამო.**

იმართება მე-2 ე ქართულ კლუბში. (ხარფუხი) შ ბათს, აპრილის 3-ს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: დუტუ მეგრელი, კ. მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ი. მჭედლიშვილი. კ. ჭიჭინაძე, ი. მოსაშვილი ნინო მაღალაშვილი, დ. აკოფაშვილი, ა. ქემხურიძე, ვახ. კოტეტიშვილი და სხვ.

**„ელამი ჯიმმი“.**

დღეს, არტისტიულ საზოგადოების თეატრ „ტარტოში“ მეორე და უკანასკნელი გასტროლი პეტროგრადის თეატრ „ელამი ჯიმმის“. ამ თეატრმა სრულიად რუსეთში გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო თეატრია მაიარუცი ფრანგული იერის კომედიისა; შესანიშნავად დაცული ensemble-ი, ნიჭიერი მსახიობები, ყველ წვრილმანში დაცული სტილი—აი რა ახასიათებს ამ თეატრს.

იმ დასში, რომელიც მთელის შემადგენლობით ჩამოვიდა თბილისში იმყოფებიან ორი მსახიობი, რომელიც მეტად დიდ მსახიობებათ ითვლებიან რუსეთის თეატრის—ნ, ხოდოტოვი რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიიღო ხარისხი საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობისა და თ. კურიხინი, რომელსაც რუსეთში ეძახდენ რუსეთის „სიცილის მეფის მემკვიდრეს“, რადგან „მეფის“ ტახტი მაშინ ცნობილ ვარლამოვს ეკავა.

თბილისის საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება რუსული დრამის და კომედიის ამ ორ-თვალსაჩინო წარმომადგენლების გაცნობა.

„ელამი ჯიმმის“ თეატრს განზრახული აქვს მხოლოდ ორი გასტროლი „ტარტოში“: დღეს პარასკევს 2 აპრილს და ხვალ შაბათს სამ აპრილს.

# სასამართლოში

**მომარაგების სამინისტროში ბოროტმოქმედების საქმე**

თბილისის ოლქის სასამართლოს უდიდესი საქმეთა გამომძიებელი ვ. ი. დოლევსკი გამოძიებას აწარმოებს სამინისტროდან აღებულ ყალბ მოწმობებით უცხოეთში საქონლის გაზიდვის საქმის გამო.

როგორც ირკვევა არსებულა მთელი ფარული ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდნენ მომარაგების სამინისტროს ზოგიერთი მოსამსახურენი. ეს ორგანიზაცია სამინისტროს ნამდვილი ბეჭდის დასმით და ყალბი ხელის მოწერით ამზადებდა ნებართვებს უცხოეთში აღკრძალულ საქონლის გასაზიდათ და რამდენიმე ასი ათას მანეთად ჰყიდდა ამ ნებართვებს. ორგანიზაციას ჰყოლია აგენტები, რომლებიც მოულობდნენ ასეთ ნებართვების მყიდველებს, რაშიაც აგენტები განსაზღვრულ პროცენტებს ღებულობდნენ. ასეთი ყალბი ნებართვებით დაუბრკოლებლივ გაჰქონდათ თურმე უცხოეთში საქონელი, რადგან ყოველივე ფორმალურ მხარეს ასრულებდნენ ამ ორგანიზაციის ის წევრნი, რომელნიც სამინისტროში მსახურებდნენ. ასე მაგალითად მიღებული იყო სამინისტროში წესად რომ გაცემულ კანონიერ ნებართვების ასლები მთავარ საბაჟოში იგზავნებოდა და სამინისტროს მიერ და ხ ენებული მოსამსახურენი ამზადებდნენ ამ ასლებსაც რეესტრში გატარებულ სხვა ქაღალდების ნუმრებით გზავნიდნენ მთავარ საბაჟოში ისე, რომ ყალბი ნებართვის მყიდველი მთავარ საბაჟოში თავის ნებართვის ასლის ნახვით რწმუნდებოდა მისი სინამდვილეში და ამიტომ საბაჟოს ადმინისტრაციაც შეცდომაში შედიოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის და თბილისის სისხლის სამართლის მილიციის საშუალებით უკვე აღმოუჩენიათ მრავალი ასეთი ყალბი ნებართვა და აგრეთვე შეუპყრიათ რამდენიმე წევრი ხსენებულ ორგანიზაციისა. დანარჩენთა შესაპყრობათ მიღებულია შესაფერი ზომები.

ამ ორგანიზაციის მუშაობა თურმე ფართოდ სწარმოებდა რამდენიმე თვის განმავლობაში ჯერ მომარაგების მთავარ სამმართველოში და შემდეგ, მომარაგების სამინისტროს დაარსების პირველ ხანებში, ვიდრე ხსენებულ დაწესებულების მთელი შემადგენლობა შეიცვლებოდა

# სახელ.-სამრ. წვ. პალატა

**სავაჭრო ბიულეტენი.**

ქ. თბილისი, 2 აპრილი 1920 წ.

**კ უ რ ს ი**

| | | |
|---|---|---|
| სტერლინგი: | | |
| ა) ბანკნოტი | . . | 1075 მ. |
| ბ) ჩეკი | . . | 970 „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | . | 24 „ |
| ჩეკი | . . | 18 „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | . | 16,50 „ |
| ჩეკი | . . | 15,50 „ |
| ლირა ოსმალური: | | |
| ა) ოქროს | . . | 1370 „ |
| ბ) ქაღალდის | . . | 248 „ |
| ჩეკი | . . | 240 „ |
| მარკა გერმანული ქაღ. | . | 4,50 „ |
| დოლარი | . . | 300 „ |
| ჩეკი | . . | 275 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | | |
| ოქრო 10 მან. | . | 1750 „ |
| ა) ქაღ. ასი მანეთიანი | . | 280 „ |
| ბ) ქაღ. ხუთასი მანეთ. | . | 140“ |

# ბათუმში

**ბათუმის ოლქის საზღვრებში მყოფ საქართველოს ჯარების სარდლის ჩამოსვლა.**

მარტის 28-ს ბათუმში ჩამოვიდა ბათუმის ოლქის საზღვრებში მყოფ საქართველოს ჯარების სარდალი გენ. ზაქარია მდივანი და შტაბის უფროსი გენ. გ. ერის ავი. ს [illegible] აგრეთვე პოლკ. მელ[illegible] ირ. დიდიძე გენ. მდივანი ძველი ნაცნობია ბათუმისა. ის ჯერ კიდევ რუსულ ინტრიგანულ ბიუროკრატიის ჩვენში ბატონობის დროს მსახურებდა ბათუმში და მოჰყვა ბიუროკრატიისთვის არაკეთილ საიმედო პირთა რიცხვში მის დროს (1905 წ.) ბათუმის რუსული ადმინისტრაცია 4.000 კაცს. უპირებდა გადასახლებას, რომელთა რიცხვშიც იყვნენ ჩვენი თვალსაჩინო მოღვაწენიც, მაგრამ გენ. მდივანის და სხვათა ცდით ეს ბოროტი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, 1918 წლის საუბედურო დროსაც იყო გენ. მდივანი ბათუმის კომენდანტად, ამავე წელს იგი იყო სამხედრო მინისტრის ამხანაგი. განათლებით გენ. მდივანი გენერალურ შტაბიდან არის და ითვლება გამჭრიახ, ქვეყნის ერთ ერთგულ სარდლად.

ვინატროთ რომ მისი ჩამოსვლა კეთილი ყოფილიყოს ჩვენ განაპირებ მხარისთვის. („სამუსლ. საქართ.“).

# რუსთ̈ნის დიქტატურა

დღევანდელ საქართველოში (№ 71) ვითომ-და სტერმინოლოგიო დიქტატურაა გამოცხადებული ჩვენი უნივერსიტეტის სახელით: „ნება გვიბოძეთ კვლავ გაგიმეოროთო, რომ ყოვლად შეუძლებელია სამეცნიერო ენიდან განდევნილ იყოს უცხო სიტყვებიო“ „მე-19 საუკ. პირველ დასაწყისის ერთ ხელნაწერში „მაღნიტი“ და „ელექტრონ“ ნახმარი, მაშასადამე ეს ეხლაც ასე უნდა დარჩესო. „თუ შეიხედავთ ქართულ უნივერსიტეტში, ან მიმართავთ მის მიერ გამოცემულ წიგნებს და საუნივ—ტო კურსებს იქაც დაინახავთ, რომ კოეფი ციენტი, ანალიზი, სინტეზი, გალვანიზმი, ელექტროლიზი და სხ. რჩებიან უთარგმნელადო, რაც წინდაწინვე მოწმობს რომ თქვენ თქვენის გაეროვნებით და სახალხო სკოლების ინტერესებით ვერ შეიჭრებით ჩვენი მეცნიერების კერაში, სახელმწიფო უნივერსიტეტშიო. აბა სცადეთ ამ უკანასკნელის თარგმნაც, რა მოგივათო?“ (რა მოგვივა?)

ჩვენ-კი მეცნიერულ გამოხმაურებას მოველოდით! ჩვენ-კი ასე გულწრფელად მეცნიერებაზე ავაგეთ ჩვენი პასუხი და განმარტება! ღირდა დროს დაკარგვა?

„რა უშავს, რომ თქვენ უჩინ-მაჩენი, ე. ი. უჩინარის მაჩვენი გაქვს მიკროსკოპის სახელად იმორჩეულიო, ჩემი და ბ. ხახანაშვილის მართლწერით ეს სიტყვა ისევ ი-ნით დაიწერება, და მაშასადამე არა მეცნიერული და ზღაპრული გამოვაო.

რა უშავს, რომ პრ. მარრის და აკ. შანიძის დებულებანი სწორად გაგვიათ და გამოგიყენებიათ, და რომ ისინი მართლაც სრულიად არღვევენ ჩემი წინა წერილების ფილოლოგიურ საბუთებს თქვენი სიტყვების წინააღმდეგო; თქვენ ნება არა გქონდათ იმ დებულებების გამოყენებისა, რადგან ერთ მათ დედანთაგანის—აკ. შანიძის წერილის „სრული სახელიც კი არ გვიდნიათ არც გამოცემის ადგილი და წელიწადიო (sic!). რა უშავს, რომ ათობითი თვლის წინააღმდეგ არაფერი მეთქმის „განათლების“ პირველ ნომრის წაკ თხვის შემდეგო, სამაგიეროდ თქვენ იქ მე-30 გვ. „სამეცნიეროს“ ნაცვლად „მეცნიერული“ გიწერ ათო. რა უშავს, რომ მე „ლეიდენი და მენდელეევი გვარებია“ მიწერიაო. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე არ ვიცი, ვითომ ლეიდენი ქალაქი და უნ ვერსიტეტის ქალაქია, და არა გვარიო; ეს მხოლოდ იმის მაგალითია, რასაც კლასიკურ ენებზე lapsus calami ეწოდებაო, გვარების მაგიერ „ადგილი და გვარია“-ს დაწერას ვაპირებდიო. და ასე მთელი წერილი. აფსუს კალამო! რისთვის გხმარობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც ჩვენი მეცნიერული ენის საფუძვლის ჩაყრაა!

სიტყვები მაინც გაერჩია წერილის ავტორს, თუ-კი თვით დედა-აზრის წინააღმდეგ ამას გარდა ვერაფერი მოახერხა! მაგრამ სიტყვა მას მხოლოდ ოთხი აქვს „გარჩეული და დაწუნებული. 1.—„თქვენი ხელსაწყო უფრო საწყლეს მ. სარწყეს (პოლოტენცე-ს) გვაგონებსო (რით? „წყობის“ ფესვით? ასო ყ-თი?) რა ძალა ჰქონია უფროსთა მაგალითის ჰიპნოზს და წინ და წინ შედგენილ შეხედულებას. ბუნების მეტყველების ერთ-ერთი ტრადიციული სახელმძღვანელო რომ გადაეთვალიერებინა ბ-ნ ბერიძეს, ან უნივ-ში ხმარებული ტერმინები, ეს „ჩვენი“ იქიდან ამ ღებული „ხელსაწყო“ მას მაშინვე პირსახოცის მაგიერს „ხელსახმარს“ „ხელსაჭერს“ ან რამე ამგვარს მოიგონებდა. აგრეთვე მეორე და მესამე სიტყვაზე მოუვიდა: მეორე გამოცემაში ხომ არ უნდა აღზეჭ-

დოთ წამი—минута-ო, წუთი секунда-ო, რაც ასე არ არისო“. რის მეორე გამოცემაში? უნივერსიტეტში ხმარებულ ტერმინებისა? გ. ნ. ავალიშვილის სიტყვარისა? თუ ჩუბინიშვილის ლექსიკონისა? თუ თვით საბა ორბელიანისა, რომელსაც უწერია: „წამი აქვს ჟამსა ერთსა სამოცი, წამსა ერთსა წუთი სამოცი, წუთსა ერთსა კესი სამოცი“ და სხ. (1 მეფე. 14.9) სამივე დაწუნებული სიტყვა მათი გამოდგა, ვისი სახელით და ვისი მაგალითად წამოყენებით იწუნებს და ჰკრძალავს ავტორი ჩვენს სიტყვარს და დედა-აზრს. რა ლოღიკური დასკვნა გამომდინარეობს აქედან? დარჩა მხოლოდ ერთი სიტყვა, приложеніе „точка приложенія“ „მიდების წერტი“ ნუ იქნებაო; თუ მიყრდნობის წერტმა точка опоры) არ ივარგა, მაშ „შეხების წერტი“ იყოსო; точка касанія-ს რაღა დარჩეს მაშინ?

ამითი თავდება და ამითი ამოიწურება დეკრეტის გამამტყუნებელი ნაწილი; გამამტყუნებელი და ჩვენი დედა-აზრის უარმყოფი; ეს უარყოფა და ჩვენი სიტყვების აკრძალვა მხოლოდ ერთის საბუთს ეყრდნობა: „თქვენ ხშირად იმეორებთ, რაც წიგნის შესავალში გიწერიათ; ჩვენ კი უნდა პირდაპირ გამცნოთო, რომ ჩვენს პროფესორებს (და заурядъ-პროფესორებს) მეტად არ მოეწონათ თქვენი სიტყვარიო; ამან ის თქვა, იმან ესაო; ჩემი წინა წერილები მხოლოდ ჩემი საკუთარი აზრების გამოთქმა კი ნუ გგონიათო. „უჩინმაჩინი“ არავის არ მოეწონა, მაშასადამე თქვენი დედა-აზრიცდა თანწყობაც მიუღებელიაო; ერთმა პროფესორმა პირდაპირ განაცხადა: ეს ისტორიულ არხაიზმებისათვის საშიში მოდერნიზმი და ფუტურიზმიაო, ამიტომ ჩვენმა „კრებამ“ მას ენერგიული წინააღმდეგობა და საშუალო საუკუნეების კლიონების მაგიერობა უნდა გაუწიოსო“.

ეს გგონიათ „სატერმინოლოგიო“ დიქტატურა? იტალიაში მას სულ სხვა დიქტატურა ეწოდება. როცა მე-XIII საუკუნეში ფლორენციის ვაჭრებმა იტალიაში ინდოეთის (ჩვენში კი ეგრე წოდებულ „არაბულ“) ციფრები შემოიღეს წინანდელ ანგარიშისთვის ყოვლად გამოუდეგარ რომაულ ნიშნების ნაცვლად, და როცა იტალიის განათლებულმა წრეებმა სიხარულით დააპირეს მათი მაგალითის წაბაძვა, ნასწავლთა წრეებმა კინაღამ თავი მოიკლეს და 1299 წ. ვაჭრებს დეკრეტით აეკრძალათ ამ არაბულ ციფრების ხმარება; ბრძანება გამოვიდა მათ მაგიერ რომაული ციფრები ეხმარათ ან სავსე სიტყვებით ეწერათ რიცხვების სახელები! გერმანიაში საფრანგეთში და ინგლისში ამავე ისტორიულ ტრადიციების გამო არსებული ციფრები მხოლოდ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში იყო შემოღებული.

ამაზედ მეტიც ქნა ამ ტრადიციების დიქტატურამ: ბრუნო დაწვა, გალილეი ჩააჩუმა, ლობაჩევსკი თავიდან მოიშორა; რამდენი დაცინვა და განცვიფრება ერგო მათ გენიალურ აღმოჩენებს და ნაწერებს. ეხლა კი ვისი აზრები მიძღვიან წინ ჩვენს დღევანდელს მეცნიერებას? დიქტატორ პროფესორების თუ ამ დევნილებისა? ჭეშმარიტება სწორედ იმითია დიადი და მიუდგომელი, რომ მისი არც დაწვა შეიძლება, არც შეჩერება, მას არავითარი „დიქტატურების“ არ ეშინია.

ა. ნიკოლაძე-პოლიევქტოვნა.
გიორგი ნიკოლაძე.

## კახეთის წევრთა წლიური კრება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

კვირას 28 მარტს თელავში კლუბის დარბაზში გაიხსნა კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოების „კახეთის“ წევრთა წლიური კრება.

კრება მეტად მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა თვის შემადგენლობით, მრავალფეროვანი თვისი მსვლელობით და პროდუქტიული თვისის მუშაობით.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ა. გულიაშვილი მის ამხანაგად ვ. კახიძე მდივნად გ. გულაშვილი.

**წლიური ანგარიში.**

კრებას პირველად მოხსენდება კახ. მევენ. საზოგადოების „კახეთი“-ს მოკლე ანგარიში 1918 წლის ღვინ. 1919 წლის 1 გიორგ. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს ბალანსი საზოგადოებისა 1 გიორგ. 1919 წ. უდრის 4.734,631 მან. 18 კ.

საზოგადოების საანგარიშო წლის წმინდა მოგება გამოიხატა 142,577 მანეთისა და 04 კ.

შემდეგ კრება ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას. კამათის შემდეგ კრებას ხმის უმრავლესობით გამოაქვს რეზოლიუცია: „საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება საბჭოს გამგეობისა და 1919 წლ. ანგარიში დაამტკიცა იგი; შეუდარა 1918—1919 წლ. საანგარიშო წლის არა ნორმალური მდგომარეობა გამგეობის მოქმედება მოიწონა და გადადის შემდეგ მორიგ საკითხებზე“. აგრეთვე ამტკიცებს ხარჯთ აღრიცხვას 1919—20 წლისას.

**წევრთა გასამრჯელო.**

კრება ადგენს გამგეობის თავმჯდომარეს დაენიშნოს [illegible] 15 ათასი მან. ხოლო გამგეობის წევრთ 12 ათასი მანეთი თვიურულს. გამგეობის წევრთა წარმომადგენლებისათვის გადასდო 40 ათასი მან. და 800 ათასი საბჭოს განკარგულებაში.

**წესდების მუხლთა შეცვლა.**

კრება მუხლობრივ ისმენს და ზოგიერთი ცვლილება შეაქვს მე-19-ე 20, 23, 24, 27, 28, 32 და 71 მუხლებში. მე-19 მუხლის თანახმად ყოველი წევრი მოვალეა წევრად შესვლისათანავე შეიძინოს არა ნაკლებ ერთი პაისა, მაგრამ ხელ-წერილი დასდოს რომ იგი იღებს განსაზღვრულ ვალდებულებას მე-11 მუხლის თანახმად ემორჩილება ამ წესდებას და მთელ თავის ღვინის მოსავალს აბარებს საზოგადოებას იმის გარდა რაც საჭიროა მისი ოჯახისა და პირადი მოხმარებისათვის. მე-20 მუხლი შეცვლილია შემდეგ ნაირად „საზოგადოების გასვლის დღიდ ჩაითვლება უკანასკნელი დღე საოპერაციო წლისა, თუ მან გასვლის სურვილი განაცხადა არა უგვიანეს 6 თვისა“. მე-24 მუხლის შენიშვნა შეცვლილია ამგვარად: „ერთი პაი ღირს 100 თუმანი და საზოგადო კრება განსაზღვრავს რამდენი პაიები შეიძლება ღვინით იყოს გადახდილი არა უგვიანეს პირველ ღვინის ჩაბარებისა“. მე-28 მუხლი შემდეგნაირად შეიცვალა: „ნაწილი ამ საპაიო თანხისა არა ნაკლებ ერთი-მეოთხედი უნდა დარჩეს საზოგადოების საერთო კუთვნილებად და ხელშეუხებლად და დანარჩენი იქნება წევრისა განსაზღვრული წესით, როგორც მოითხოვს წესდება და კრების დადგენილებანი გატანა შეიძლება 10 წლის შემდეგ ამ წესდების მიღებისა და არა უმეტეს 10 პროც. ყველა პაიების ღირებულებისა ყოველ წლიურად.

**მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელნი.**

კრებაზე მოხსენებით გამოდიან თბილისიდან ჩამოსულნი მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელნი და მოითხოვენ 2 თვის ჯამაგირების მიცემას ერთ-დროულ დახმარების სახით, და მათი ოჯახების წამლობასა და წამლების მიცემასაც. კრება კამათის შემდეგ ადგენს მიეცეთ ერთდროული დახმარება ყველა მუშა-მოსამსახურეთ 120000 მანეთი. განაწილება ამ თანხისა მიენდოს მუშა მოსამსახურეთა კომისიას. ვადა ამ ფულის გაღებისა 4 თვის განმავლობაში.

**დახმარება დაზარალებულ ქართლს.**

კრებამ გადასდო საბ[illegible]ის სარდაფიდან 120 ვედრო ღვინო დაახლოვებით 85000 მ.

**წმინდა მოგების განაწილება**

კრება ადგენს საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10 ათასი მან. მიეცეს თელავის ქალთა და ვაჟთა მშობელთა წრეს 10 ათასი მან. კარდენახის სკოლისა და სამკითხველოს გამგ. და 3 მ. ათასი განსვენებულ კომპ. ნიკ. სულხანიშვილის ოჯახობას. დანარჩენ თანხას კრება მევენახეთა და მეღვინეთა საბჭოს აბარებს შესანახად და მათ მოქმედების გასაფართოებლად.

**კურტნის მუშების თხოვნა**

კრება იწუნარებს კურტნის მუშების თხოვნას რათა მათ მიეცეთ კუთვნილი ნამუშევარი ფული.

**ირ. ფურაქიშვილის მოხსენება**

საზოგადოების საერთო მდგომარეობაზე ვრცელ მოხსენებას აწვდის კრებას საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ირ. ფურაქიშვილი, რომლის განმარტებითაც კრება კმაყოფილდება.

**კრებების წარმოება თბილისში.**

კრებამ დაადგინა: საზოგადო კრებები მომავალში თბილისში იმართებოდეს.

**სესხის აღების დასტური.**

საზოგადო კრება ადასტურებს საბჭოს გამგეობის მოხსენებას 3 მილიონ სესხის გახსნის შესახებ თბილისის ადგილობრივ ბანკებში, და თუ საჭიროდ დაინახავს დააგიროვოს ღვინოც.

**კომპ. სულხანიშვილის თხზულებათა გამოცემა.**

კრება ფეხზე ადგომით პატივსა სცემს განს. საზ—ბის წევრის კომპ. ნიკ. სულხანიშვილის ხსოვნას და ერთ ხმად ადგენს გამოსცეს მის ხსოვნის აღსანიშნავად მისი დარჩენილი თხზულებანი.

**არჩევნები.**

საზოგადო კრების და ბოლოს მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ლევ. სამადაშვილი და გრ. გულაშვილი. საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ ალ. გულიაშვილი და ვ. კახიძე, სარევიზიო კომისიის წევრებად, გ. მათიაშვილი, ათანა ქუმსიშვილი და ზაქ. კვითილაშვილი.

რედაქტორი „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

## გარეშე ცნობა

1913 წლის გაზაფხულზე, ზესტაფონის მცხოვრებმა ლ. ნებიერიძემ სენაკის მაზრის სოფ. ბანძაში გასასყიდათ ჩამოიტანა დიდი პარტია ვაზებისა, რომელიც მიჰყიდა მრავალ პირს, სხვათა შორის, მეც—400 ძირი და ჩემს მეზობლებს—ჯარა გაბუნიას 400 ძირი, ნ. ზახიას—300 ძირი, ფ. ნაჭყებიას—200 ძირი და სოფ. ნაჯახუს მცხოვრებთ ის. ბაყანიას 400 ძირი, ი. ბაგანიას—300 ძირი, და მოგვცა პირობა, რომ ყველა ნაყიდი ვაზები არის სოლიკოურის ჯიშისა, დამყნილი ამერიკულ ვაზზე.

ვიყიდეთ და შევუდექით ყველა იმ უზომო შრომის და აუარებელი ხარჯის გაწევას, რომელიც დაკავშირებულია ვაზის გაშენებასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგან ჩვენ მიერ ხსენებული ლავრენტი ნებიერიძისაგან ნაყიდი ვაზები გამოდგა სრულიად უვარგისი, სოლიკაური ჯიშის ვაზებთან არავითარი მიმსგავსების მქონედ, საშინლად წვრილი მარცვლიანი (გარეული ვაზისებრ), ნაირ-ნაირი ფერისა (ზოგი წითელი, ზოგი თეთრი) არ მწიფდება და ისე მკვახედ ჰქრება და ცვივდება, რის გამოც ჩვენ, ყველა ექვსი მოსახლენი, იძულებულნი გავხდით გასულ წელს ძირში მოგვეჭრა ყველა ვაზები, (ზოგმა მოჭრა უფრო ადრე), როგორც [illegible]ნი და ამრიგად ჩვენმა [illegible] წლის განმავლობაში გაწეულმა უზომო შრომამ და ხარჯმა უსარგებლოდ ჩაიარა, ხსენებულმა აფერისტმა ლავრენტი ნებიერიძემ, ვინაიდან ამგვარი მისი ბოროტმოქმედებით დაგვაკარგვინა ჩვენ არა მარტო დიდი ფული (ყიდვაზე, წამლობაზე და სხვა გვარ მოვლაზე), არამედ უზომო შრომამაც და დიდძალი დროც, რომელიც შეგვეძლო ჩვენ გამოგვეყენებინა ოჯახისა და მეურნეობისათვის სასარგებლო საქმეებზე, მას რომ ასე სასტიკათ არ მოეტყუეთ.

ვაცხადებთ ამას საზოგადოების საყურადღებოდ და გასაფრთხილებლად, რადგან ეხლა დგება გაზაფხული, დრო ვაზების დარგვისა, და შეიძლება ჩვენულმა აფერისტმა—ხსენებულმა ლავრენტი ნებიერიძემ კიდევ იმსხვერპლოს მრავალი პირი და მით, სხვისადმი უბედურების მიყენებით, თავისი ჯიბე გაივსოს.

სენაკის მაზრის სოფ. ნაგიბერუს მცხოვრები **ლუკა გაბუნია.**

## 28.000 მანეთად

იყიდება 56 სკამი. მისამართი მიხეილის პროსპექტი № 25 (ალექსის ქუთხე) მაჩაიძე 9—4 ს. 3052 1—1

## ექიმი
## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

## მედიცინის დოქტორი
## მ. ა. ახვერდოვი

პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანს,** დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე **მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან.** მესავალი **ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.**

# ბიბლიოგრაფია

## „შვილდოსანი“

„livre des maquse“-ში ფრანგი მორალისტი რემი-დე-გურმონი ამბობს: „პოეტების სიჭარბით, დღე რომელსაც ახლა ჩვენ განვიცდით და რომელიც ათი წელიწადი გრძელდება, ვერ შეედრება წარსულის ვერც ერთს დღეს გინდაც უმეტესად მზიურს.

იყო მრავალი ნაზი გასეირნება ნამიან გზით რონსარის კვალზე. იყო მშვენიერი დრო შუადღის შემდეგ, როცა მძაფრ საყვირებში თრთოდა გოტიეს დაღლილი ვიოლა, იყო რომანტიული დღე, ქუხილიანი, და მოგრაგნილი და მეფური, საღამოთი განწონილი ქალის კივილით, რომელსაც აღრჩობდა ბოდლერი. იყო მთვარეული ნათელი პარნასის. მაგრამ კიდევ ამოდიოდა მზე ვერლენისა. ახლა თეთრი დღეა“.

— დღე დარკინული ამერიკანიზმის, როცა ყველაფერი ალგებრისა და სტერეომეტრიის ქვეშ მიდის. როცა სახეები იშლება და მოდის მხატვრულ კომპოზიციის ახალი კანონები.

დღე „ბუდეტლიონების“ შეტევის, რომელთაც „დირ-ბულშჩილ“-ით დაიწყეს „სამყარო ბოლოდან“ და რომელთა „ხერხივით დამღრღნელი“ ლექსი მდიდარია სურნელოვანი ფოსფორით, სიტყვიერი ფაქტურით და მუსიკალ ინსტრუმენტოვკით.

საქართველოს პოეზიას ეს დღე არ გაუგია, თუმცა ქართულ აპოლონსაც გაუჩნდა ქარები.

უკანასკნელი ათი წელიწადი იყო ეპოქა უნიჭობისა, როცა არც ასე გულუბრყვილოდ მღეროდნენ ვარდებსა და მზის ამოსვლაზე, როცა იწერებოდა პოემები შინაურ მასტიკის და როცა კარის მგოსნებს ზრდიდნენ; ბანალური ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, გაზ. „ერთობა“ და სოც.-ფედ. მთავარი კომიტეტი. ეს უნიჭობა ახლაც გრძელდება: ი. გრიშაშვილი კვლავ სხვის რითმებზე განაგრძობს ნადირობას ხოლო ივანე გომართელი—გულ-უხვად აჩენს „ბულვარულ-პარფიუმერიის პერიოდის“ ახალ პოეტებს „თებერვალ“ „პარნასიდან“.

ახალგაზდურ უნიჭობის ამ ჟურნალების გარდა განაგრძობენ: „თოლაბულისის სარტყელი“, „კრონოსის სარკე“ „თბილისი“, „კავრთოთავა“, „ზამთრის ჩუქურთმა“ და მრავალი სხვა კარიკატურისტები.

ორი ჟურნალი იწვევს ინტერესს: „მეოცნებე ნიამორები“ და „შვილდოსანი“.

აქ უკანასკნელზე გვინდა შევჩერდეთ.

**გრიგოლ რობაქიძე.** („ფრანგ პოეტს“ „ამორძალი ლონდა“) ორივე ლექსი ცოცხლობს კლასიკურ ჯანსაღობით და ე[illegible]ედიას ანტიურობით. არის დიდი პათოსიც, რომელიც აგვნებს ლირიკის დენას. ამ ლექსებში არც ერთი წვეთია წყალის. სამაგიეროდ გრიგოლ რობაქიძე პირადი ხელოვნებით იყენებს ქართულ ენის რიტმიულ შესაძლებლობას.

გ. რობაქიძე არის სიტყვის ტირანი. მან პირველმა იხმარა მაღალ რეგისტრის ხმები ორატორულ ენერგიით გახმაურებული და ბოლო მოუღო სანტიმენტალობას და ნაზ ჩურჩულს. ყოველ სიტყვას სჭრის მოზაიკურ სინელით და ამაღლებს სუნთქვით, სხეულით და ფერადობით. ამიტომ ამდენი ამბრი, ამდენი ლითონი და მზე ხმაურობს მასში.

„ჩვენ მეტად შევეჩვიეთ—ამბობს ინნოკენტი ანნენსკი, რომ სიტყვას უყუროთ როგორც უფერო სახმარისს. თითქოს იგი იყოს რომელიმე სტენოგრაფია ან ესპერანტო, რომელშიც ცხოვრობენ მსოფლიო ტიპები თვისი სიამაყით, მათი ემოციული და მხატვრული გამოთქმის სრული სილამაზით“.

ქართული სიტყვა დღეს მეტად გახუნებულია და მკრთალი. დღემდის იგი მონაა ჟურნალიზმისა და კანცელარიის.

ამ ლექსში გრ. რობაქიძე არის წარმართი და აცხორცი. როგორც მუდამ ჰფიქრობენ, მასში არ არის წინასწარ განზრახულ ნისლოვნობისა და აფექტაციის ნაკვალი, ის არის პოეტი ქართული პროფილის, რომელიც უცხო გავლენას არ იღებს ეკლექტიურად“.

**ტიციან ტაბიძე.** („მღვდელი და მალაარია“.) მთელი ლექსი, რომელიც არის მეტაფიზიური განცდა წარსულის, დაშხამულია და დასრესილი. მასში არის სასტიკი გადავარდნა **Moldarori**-ს „ხოლოსტიაკის“ და ციებიან [illegible] ორანჟერეის შხამიან ყვავილების გაშლა.

მისი პოეზია არის: ირონიული, გულუბრყვილო და მელანქოლიური.

ტიციან ტაბიძეს აქვს ორი დიდი ორიგინალობა: პოეზია და ირონია—ეს კოეფიციენტი მისი სულიერ მნიშვნელობის. როგორც სხვა მის ლექსებში, იქაც არის უმაღლესი პოეტური სახეები და ნათელი ხედვა.

საქართველოში ყველაზე უფრო მას აშინებს ლაფორგის „უმუფტოდ“ სიკვდილი და საქართველოს პურპური.

როგორც სხვაგან, ისე ამ ლექსში დაფარულ პიროვნების გადასარჩენად მოაქვს ლექსის გარეგანი ინდივიდუალობა. მას უყვარს მოღუნვა სიტყვის გრძნობითი სწრაფვის სათქმელად.

ლექსის თემა ძველია; „მღვდლის და ციების გაბაასება“ თეიმურაზ პირველის. ვიხსენიებთ ამას ბ. ივ. გომართელის საყურადღებოდ, რომელსაც ეს უცნაური სათაური აკვირვებს. (იხ. მისი კრიტ. წერ. გაზ. „ერთობა“-ში).

**პაოლო იაშვილი.** („ალი არსენიშვილს“) ლექსი სავსეა ცეცხლიან ტოპაზებით. თვითეული სტრიქონი გაუცნაურებულია მზიური ცემით.

პ. იაშვილი არის დიდი ოსტატი ლექსის: ვერჰარნის ქვიური სულით და განგმირული ვერლენის მუსიკით. მისი ლექსი მუდამ ირჩევა: ელასტიურობით, მუსიკალობით და თავისუფალ რიტმიულობით.

როგორც ყოველთვის, ამ ლექსშიც ის არის შეყვარებული მზესა და სურნელობაში. ბარბაროსული სიუხვით და ეკვატორის სიცხით. მისი სიტყვა დაბარბაცებულია და დაპუდრული.

ლექსი დაგძელებულია და ადგილობით ჭრება.

**ვალერიან გაფრინდაშვილი.** („საფერფლე“, „ფრანგ პოეტებიდან“, „რითმა და ასიონანსები“, ბოჰემა“).

გაფრინდაშვილი პარნასელია. მის მკაცრ ლექსში დაპუდრულია კეთილშობილური მელანქოლია: თვითეული მისი სტრიქონი დამწვარია მკრთალი და მაწვალებელი დარდით და დაღამებულია ოდილონ-რედონის ოფორტივით. და თვითეულში ჩანს საშიშარი ექზალტაცია ციებიანი კანკალით, როგორც ლიუსტრის.

სამყარო მისთვის იხსნება როგორც ოცნება ქარიშხალში. ის ჩაჭედილია ლანდებში და ლანდები მისთვის შემოქმედებითი მეთოდია. მას შეუძლიან ველურ განწირულებით ილაპარაკოს რომ ვერ იპოვნის საამისო სახეებს.

გაფრინდაშვილში არის მრავალი წიგნი, ისტორიის იშვიათობა და პსიქოლოგიის ტრაქტატები. მის დაკაწრულ სიტყვების ორგიაში ჰხედავ პოეტს თანამედროვე სიტყვის იჭვიანობით დაღლილს მას აქვს გამძაფრებული შინაგანი ფორმა და სივრცე.

საინტერესოა მისი თარგმანი გოტიეს **L'art** და მისი ორი რიტორიული წერილი. რიტორიკა ხშირად მის ლექსშიც გადადის.

**კოლაუ ნადირაძე** (წიგნიდან: № **notre Dame** „მთვარის წყალობა“, „ოცნება საქართველოზე 28 იანვარს“ და სხვები).

ორი სახე უყვარს კ. ნადირაძეს: ვერლენი და ივანე მაჩაბელი. ხშირად მსხვერპლის გარდა თვითონაც ეწირება მათ.

მის ლექსებში ხშირად არის ძლიერსით სავსე სიტყვები და ძველი საკმევლის სურნელება, მთვარის ქვის სინაზე და ანომალიური ორანჟერეა. ყოველ მის უშუალო ლექსში ჩანს: ვნებიანი ნაღველა და ნაზი გული“.

ამ ლექსებში არის უმანკო საუბარი მჭრელი სარკაზმით და ამდენი ხავერდიანი ტონები გრავიურის.

კ. ნადირაძე არის დიდი მეამბოხე ძველი პროსოდიის წინააღმდეგ და მას ვილიედე-ლილ-ადანივით სწამს, რომ პოეზიაში, როგორც რელიგიაში, რწმენაა საჭირო„...

**შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შ. აფხაიძე** „მასკები კარნავალში“, „გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის“ „არტემიდა“, „დატეხილი“, „დამქრალი სანთლები“, „სასაფლაო და ყვავები“, „ღვთის მშობელი პროსპექტზე“, „დეკემბრის აგონია“ მიდიან „ყანწების“ ნიშნით. შალვა კარმელი, როგორც იტყვის ვ. გაფრინდაშვილი არის „რითმის ერთგული მსახური და კოლლექციონერი, თუმცა მისი რითმა ხშირად უსულო და მექანიკურია“. ეს უსულობა სდევს მას პოეზიას, რომელშიც გამოტანჯულია სიტყვა და რითმა. საშიშა გზას ადგია კარმელი, მართალია, ლექსს მუდამ თან სდევს გეომეტრიაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა მექანიკა. მისი სული ელასტიურია და ამიტომ ხშირად ხდება მსხვერპლად სხვისი სახეების („მასკები კარნავალში“ და სხ.).

**რ. გვეტაძე** თანამგზავრია შ. კარმელის, მაგრამ მას უფრო ძლიერი ინტუიცია აქვს. მისი მოპარპებული სახეები პორნოგაფიაში გადადის („დატეხილი“).

**ნიკოლოზ მიწიშვილი** საინტერესო გახდა, რაც მინიატურების წერას თავი ანება. მას გამძაფრებული აქვს ქმედითი სიტყვა, თუმცა ხშირად ლექსებშიც მინიატიურას იგონებს. მაინც საინტერესო იქნება მისი ავტონომიური სიტყვა, რომელიც თანდათან იკრებს ფოლადის კაპრიზს.

**შ. აფხაიძის** ლექსში არის საღამოს სურნელი და სიწმინდე; მისი ლექსის ფაქტურა სუსტია. წყალი ბევრი. არის მოგონება ალექსანდრე ბლოკის „незнакомка“-სი.

„ყანწების“ შემდეგ, ქართული ლექსი გახდა დაწმენდილი, როგორც სანთელი და „გამართული, როგორც მინო“,

ფილისტერები ისევ მოითხოვენ ლექსისთვის დიდაქტიკას და არ უნდათ გაგება, „რომ ლექსი არ ეკუთვნის პოეტს. იგი განუყოფელია ლირიკულ „მე“ საგან; ეს არის მისი კავშირი სამყაროსთან და მისი ადგილი ბუნებაში. პოეტის ლექსი იქნებ თქვენთვის ბუნდოვანი იყოს, რადგან პოეტი მოვალე არ არის თქვენს ესტეტიურს განვითარებას ანგარიში გაუწიოს, მაგრამ ლექსი უნდა იყოს მჭვირვალი და მდინარი ნაკადივით.

იგი არავისია, რადგან ის არავის და არაფერს ემსახურება, იგი ჰაეროვანი და თავისუფალია და მისთვის კიდევ, რომ ის არავის ეკუთვნის, მაგრამ ყველას კუთვნილი აზრია. მაგრამ ის არავის ემალება—იგი მისია, ვინც მოინდომებს მის წაკითხვას, ამღერებას, შესწავლას თუ დაცინვას—სულ ერთია. ლექსი არის ახალი ნათელი სამუდამო ქმნულთა ზღვაზედ, რომ ეცემა. ახალი ლექსი ძლიერია თვით-შეყვარებით თავისთავში და სხვებშიც. სხვათა შორის თვით შეყვარება, თითქოს სანაცვლოა კლასიკურ სიამაყის. მაგრამ ლექსი სხვებშიც არის შეყვარებული ე. ი. მას უნდა შეეკრას ყველაფერს, რაც მასთან ერთუნებითი რაც მდინარია ნათელი და წკრიალი.

ის ყველაფერს იგებს და მზად არის სხვასაც წარტაცოს. სამუდამო ყრმა, როგორც სიზმარი, იგი ყველა ლივლივში გადაჩხრიალებასა და გადამღერებაში ინახავს თავის სიამაყეს და უნაზესობას. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ლექსი არაფერს გახვევს თავზე, მაგრამ არაფერსაც გაძლევს, რადგან მისი სილამაზე ფარულ განძივით უნდა მოიძიო, იპოვნო (ინნოკენტი ანნენსკი.)

და რომ „ღმერთებსაც სცელავს სიკვდილი და ბასრი და მუდამ ლექსი დარჩება მხოლოდ, ფოლადზე მკაცრი მარადისობის ამაყ სიმბოლოდ“.

(გოტიე გ. გ. თარგ.)

ამ ათი წლის წინეთ ვალერი ბრიუსოვი ურჩევდა რუს პოეტებს, ეცადათ თავიანთ პროზაში და გარდა რჩევისა ამას ითხოვდა კიდეც. ანალოგიური მოვლენაა საქართველოშიც. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართულ პროზამ არ იცის სხვა ოსტატი. მართალია იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი, დეკანოზიშვილი, მაგრამ ვერც ერთმა არ იცოდა ილიასავით სიტყვის საიდუმლო და „გამოშიგვნა“ (ილიას საყვარელი სიტყვა.)

პოეტური პროზა საქართველოში ალბად ახალ პერსპექტივებით არის გამოწვეული. **ნ. ლორთქიფანიძის** (ჩარდახში „ბებრები“) გარდა, რომლის მინიატურებშიც მეორდება ნათელი ტკივილი ქმნობის სიხარული და სინაზე ატაცებული ტანჯვამდე, არიან ნიჭიერი სახელები **სანდრო ცირეკიძის** და **ს. კლდიაშვილის** („პეიზაჟი“, „ზამთრის ქიმერა“, „ხალიჩა უზღაპროთ“) ნერვიულ სიციცით რომ მოდიან ქართულ პროზაში.

თუმცა ამ მინიატურებში ვერ არის სრული გამარჯვება. ქართული პროზა დღეს იწმიდება მაგრამ იქნებ მართლაც სახიფათო იყოს გზა მინიატურის და და ტ. ტაბიძის თქმის არ იყოს ალარავითარი აზრი არ ჰქონდეს პოეტურ პროზას, სანახევროდ გაამაყებულს, „უმეტროდ და ურითმოდ, საკმაოდ მოქნილს და მორჩილს, რომ ეფარდება სულის ლირიულ გაქანებათ, ოცნების ხვეულობას, სინდისის შეშფოთებას“ რომელზედაც ბოდლერის გარდა ოცნებობდნენ. მალარმე გოტიე და ედგარ პო.

**გ. ლეონიძე.**

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა 3 №